აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 **საჯარო** სკოლა

2021-2022 სასწ.წელი

2021-2022 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

ყოველწლიურად ჩვენი სკოლის მოსწავლეები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო მაჩვენებლებს ინარჩუნებს!



100%-იანი გრანტი-33 %

70 %-იანი გრანტი-30%

50%-იანი გრანტი-23 %

უფასო პროგრამა-12 %

საზღვარგარეთ ჩარიცხული მოსწავლეები-2%

2021-2022 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2021-2022 სასწავლო წელს 42-ე საჯარო სკოლის 32-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან 17 -მა ოქროს, ხოლო 15 -მა მოსწავლემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

წარმატებული კურსდამთავრებულები!

51**დან** 51...!!! !

ჩვენი სკოლის წარმატებულმა კურსდამთავრებულებმა:
გიორგი ბერიძემ და გიორგი ბაქრაძემ 2022 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკაში უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს!!!

წარმატებული კურსდამთავრებულები
60-დან 60!



ლანა რუხაძე:
ქართული - 60/60!

თორნიკე გაგუა:
ისტორია- 60/60!

ნიკოლოზ ყურუა:
ქართული-60/60!

წარმატებული კურსდამთავრებულები
80-დან 80!

ანა მელიქჯანიანი:
ინგლისური - 80/80!

ნინო კვინიკაძე:
ინგლისური- 80/80!

ნიკოლოზ ბედიაშვილი:
ინგლისური-80/80!

ჩვენი სკოლის წარმატებული მოსწავლეები და ახლა უკვე კურსდამთავრებულები ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებლებში!

ნენე ჟვანია ჰარვარდში!

ჩვენი სკოლის კიდევ ერთი წარმატებული კურსდამთავრებული **ნენე ჟვანია** ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მან ჯამში მოიპოვა $340 000-ის დაფინანსება.

ნენეს სკოლაში სწავლის პერიოდში მოპოვებული აქვს აქვს ახალგაზრდა ნატურალისტთა ტურნირის ოქროს და ბრინჯაოს მედლები და ასევე ახალგაზრდა ფიზიკოსთა ტურნირის ვერცხლის მედალი.

ნენე ჟვანიას ჰარვარდის უნივერსიტეტის გარდა დადებითი პასუხი კორნელის, ვილიამსის და პენსილვანიის უნივერსიტეტებიდან მოუვიდა.

წარმატებული მოსწავლეები!
მეთორმეტეკლასელი ლიზი დარჩია სწავლას ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს!

მეთორთმეტეკლასელი ლიზი დარჩიას წარმატება!

ჩვენი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ ლიზი დარჩიამ კონკურსის გზით დაფინანსება მოიპოვა ASSIST სასტიპენდიო პროგრამაში, რომელიც საქართველოში Unique Learning- ის მიერ ექსკლუზიურად ხორციელდება.

ლიზა სექტემბრიდან ASSIST -ის პროგრამის ფარგლებში სწავლას სრული დაფინანსებით განაგრძობს კერძო სკოლა-პანსიონში , **ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

წარმატებული კურსდამთავრებული
ნია ბარამაშვილი !

ჩვენი სკოლის მეთორმეტეკლასელი, ახლა უკვე კურსდამთავრებული
ნია ბარამაშვილი სრული დაფინანსებით სწავლას გააგრძელებს **ბელგიაში**, ბრიუსელის
“ KU Leuven „ უნივერსიტეტში, რომელიც ევროპულ უნივერსიტეტებს შორის ტოპ ათეულშია.

ნია სწავლას სექტემბრიდან დაიწყებს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე.

ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები აშშ-ის უმაღლესებში

სალომე ღვინეფაძე

ამერიკის **როჩესტერის** უნივერსიტეტში
(University of Rochester)
სადოქტორო პროგრამაზე ჩააბარა სრული **$500000-იანი** დაფინანსებით.
სპეციალობა ტრანსლაციურ ბიოსამედიცინო მეცნიერებები.

ლუკა ხიზანიშვილი სწავლას აშშ-ში გააგრძელებს.

ლუკა სამაგისტრო-სადოქტორო პროგრამაზე სრული დაფინანსებით **ბინჰემტონის** უნივერსიტეტმა (Binghamton University) მიიღო.

წარმატებული კურსდამთავრებული ანა მარია ჩაიძე

- ვეკუას სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული ანამარია ჩხაიძე მუშაობას Amazon-ში დაიწყებს.
- ანამარია სექტემბრიდან მადრიდის ოფისში Amazon Business-ის გუნდს შეუერთდება Software Development Engineer-ის პოზიციაზე.
-

წარმატებული კურსდამთავრებულები დემეტრე ურიდია და ირაკლი შალიბაშვილი GOOGLE-ის ლონდონის ოფისში დასაქმდნენ





ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები აშშ-ის უმაღლესებში უკვე ლექტორებად!

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებმა საბა ხარაბაძემ, გუგა ხუნძაკიშვილმა და ბექა მოდრეკილაძემ Purdue University-ს ფიზიკის PhD პროგრამაზე დაფინანსება მიიღეს და მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობასაც ექნებათ. ამერიკული მხარე ახალგაზრდებს უნივერსტეტში Teaching Assistant-ებად დაასაქმებს.

მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

ახალგაზრდა ნატურალისტთა X საერთაშორისო ტურნირი!

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა **ბრინჯაოს** მედალი მოიპოვა!

ვეკუას სკოლის გუნდმა წელს პირველად მიიღო ტურნირში მონაწილეობა და **ვერცხლის** მედალი დაიმსახურა!

მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებში

2022 წლის 16-21 აგვისტოს ქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა **ქიმიის მე-5 საერთაშორისო ტურნირი**, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 7 ქვეყნის 8 გუნდი.

მათ შორის წელს ტურნირში პირველად მიიღო საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა და მეხუთე ადგილი მოიპოვეს. ინდივიდუალური ქულებით ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ ჩვენი სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები

ლიზი დარჩია და **ქეთევან პერანიძე!**

მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ტურნირებსა და ოლიმპიადებში!

საქართველოს ნაკრებმა ახლგაზრდა ფიზიკოსთა 35-ე საერთაშორისო ტურნირზე (IYPT) ბრინჯაოს მედლები მოიპოვა!

წლევანდელი ტურნირი ჩატარდა 15-23 ივლისს რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში, სადაც 25 ქვეყნის ოფიციალური დელეგაცია იღებდა მონაწილეობას.

ბრინჯაოს მედალოსანი ნაკრების შემადგენლობაა:

- ლევან ლოლაშვილი (კაპიტანი)-ვეკუას სკოლა
- ნიკოლოზ მალცევი
- ირაკლი მიროტაძე
- ნენე ჟვანია-ვეკუას სკოლა
- ნინი ქუჩულორია

მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ტურნირებსა და ოლიმპიადებში!

ICHO 2022

საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატება ქიმიის 54-ე საერთაშორისო ოლინპიადაზე

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა წარმატებით იასპარეზეს ქიმიის (IChO 2022) 54-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელიც წელს დისტანციურად გაიმართა ჩინეთში.

ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდი 1 ვერცხლის, **2 ბრინჯაოს მედლითა** და 1 დიპლომით დაჯილდოვდა. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა **ქეთევან პერანიძე(ვეკუას სკოლა) ;**

ბრინჯაოს მედლითდაჯილდოვდა **ლიზი დარჩია (ვეკუას სკოლა) ;**

დიპლომი გადაეცა **ნიკოლას ჯორჯ მეტრეველს (ვეკუას სკოლა);**

მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ტურნირებსა და ოლიმპიადებში

საქართველოს ახალგაზრდა ფიზიკოსთა ნაკრებმა ავსტრიის ფიზიკოსთა ტურნირი (AYPT) მოიგო, აბსოლუტური **პირველი** ადგილით!

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო პირველად მონაწილეობდა ავსტრიის ახალგაზრდა ფიზიკოსთა ტურნირზე. ნაკრების შემადგენლობა:



ნიკოლოზ მალცევი (კაპიტანი)
ლევან ლოლაშვილი(ვეკუას სკოლა)
ნინი ქუჩულორია
ირაკლი მიროტაძე
ნენე ჟვანია(ვეკუას სკოლა).
ტურნირში 12 ევროპული გუნდი მონაწილეობდა.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები ამერიკის შეერთებულ შტატებში „NACA“-ს დასათვალიერებლად!

ჩვენი სკოლის მოსწავლეთა გუნდი ნასაში გაემგზავრება!

საქართველოში, 5 ივნისს ,გაიხსნა ქართველი მეცნიერის, მსოფლიო დონის ავიაინჟინრის, ალექსანდრე ქართველის მუზეუმი. მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს უნივერსიტეტში ჩატარდა"**რობოტების „ჩემპიონატი"**,რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები.მათ შორის იყვნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეთა გუნდიც, რომლებმაც ჩემპიონატში **I ადგილი მოიპოვეს.**

გუნდის წევრები არიან:
ნიკოლოზ ნასყიდაშვილი,
ნიკოლოზ ლობჟანიძე
ლუკა გაფრინდაშვილი.
მენტორი: ნათია ჯანდაგაშვილი

2022 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები

2022 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში **ქიმიაში**

I ადგილი დაიმსახურა **ქეთევან პერანიძემ;**

III ადგილი კი **ლიზი დარჩიამ;**

2022 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში **ბიოლოგიაში**

II ადგილი მოიპოვა

თორნიკე კულულაშვილმა;

ჩვენი სკოლის მოსწავლეები საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში -კონფერენციაზე:

"დემოკრატია აქ! დემოკრატია ახლა!",

ჩვენი სკოლის 7 მოსწავლე სკოლის პროგრამების კოორდინატორთან ერთან საფარნგეთში იმყოფებოდა კონფერენციაზე, რომელშიც 500-ამდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა ევროპის საბჭოს წევრი ყველა ქვეყნიდან.

კონფერენცია ორგანიზებული იყო ევროპის საბჭოს ახალგაზრდული დეპარტამენტის მიერ და მიზნად ისახავდა აახალგაზრდებში დემოკრატიული პრონციპების უკეთ გაცნობიერებას!

ბავშვთა უფლებებისა და ადამიანის საერთაშორისო უფლებების დღისადმი მიძღვნილ პროექტებში გამარჯვებული მოსწავლეები

პროექტები განხორციელდა სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის "In Posterum" და სკოლის პროგრამების კოორდინატორის თანამშრომლობით - სკოლის დირექციის მხარდაჭერით.

სამოქალაქო პროექტებში ჩართული მოსწავლეები

- ჩვენი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე ნინუცა მენაბდიშვილი წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდა. წლის საუკეთესო მოხალისეები არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდი"-მა, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით UNICEF Georgia, გამოავლინა.

ვეკუას სკოლა უკრაინის დასახმარებლად!

- აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის N 42 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის „In Posterum - მომავლისთვის“ ორგანიზებით, უკრაინის დასახმარებლად ჰუმანიტარული აქცია ჩატარდა. უკრაინის საელჩომ თავად უზრუნველყო ჰუმანიტარული დახმარების ტრანსპორტირება.
- ასევე ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც სტანდარტზედა კურსის“ გზა ევროპისკენ“ ორგანიზებითა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით განხორციელდა.

სამოქალაქო პროექტებში ჩართული მოსწავლეები

ჩვენი სკოლის წარმატებული
კურსდამთავრებული ნიკოლოზ ჭელიძე -
სატელევიზიო გადაცემის
"რა? სად? როდის?-
ზამთრის სერიის გამარჯვებულია და ის
"ბროლის ბუს" მფლობელი გახდა.

სპორტული აქტივობები

ჩვენი სკოლის
გუნდმა ფრენბურთში მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ
ორგანიზებულ ტურნირში
"მთაწმინდის თასი " II ადგილი მოიპოვა

ჩვენი სკოლის მოსწავლეების ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, შეიქმნა უნიკალური, ონლაინ სასკოლო ჟურნალისტიკის მოდელი “ვეკუა TV”

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოირგეს ჟურნალისტების ამპლუა და სხვადასხვა რუბრიკების ფარგლებში, საინტერესო სიუჟეტებს გვთავაზობენ.

ისინი ყოველკვირეულად აშუქებენ საინტერესო რუბრიკებს,ამზადებენ სიუჟეტებს სხვადასხვა მიმართულებით, აწყობენ ონლაინ ვიქტორინებს სამეცნიერო თემებზე, იღებენ ინტერვიუებს პედაგოგებისგან. დაინტერესებულ მაყურებელს ყველა გადაცემის ნახვა შეუძლია Youtube არხზე.

ბოლო ზარი ვეკუაში

წელს განსაკუთრებული ბოლო ზარი ჰქონდათ ჩვენს კურსდამთავრებულებს,ისინი მანტიებით იყვნენ შემოსილნი და საზეიმო ღონისძიება „ქუდების აყრის“ ცერემონიით დასრულდა

ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ სტატია სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ " საქართველოს ბიბლიოთეკაში" გამოქვეყნდა



სკოლის ბიბლიოთეკა

სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლითეკათა ასოციაციასთან და შიეძინა ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული კატალოგი “Openbiblio”.

საბიბლიოთეკო პროგრამა Openbiblio განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის ან კერძო კოლექციებისათვის. მასში შესაძლებელია 6000-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

პროგრამაში დარეგისტრირებულია ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები. ასევე შეიქმნა ანბანური და სისტემატიური კატალოგების ელექტრონული ვერსიები, თემატური კატალოგები, კატალოგები განყოფილებების მიხედვით.



პროფესიული განვითარებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სკოლას ყოველწლიურად სხვადასხვა უნივერსიტეტები სტუმრობენ

- თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტები
- საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი
- საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი (GIPA)
- კავკასიის უნივერსიტეტი

სტანდარტზედა სერვისები

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- ლოგიკა
- პროგრამირება
- ელ. კვანძები
- სამედიცინო ეთიკა
- ფსიქოსინთეზი
- კრიტიკული აზროვნება
- გზა ევროპისკენ
- ბუღალტერია
- ლიტმცოდნეობა
- მსოფლიო ლიტერატურა - ანტიკურიდან დღემდე
- თანამედროვე არტი
- ლიტერატურა და ფილოსოფია
- მენეჯმენტი
- არდუინო

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლა

გმადლობთ ყურადღებისთვის!

2022წ.